

თპუ
სამართლის ფაკულტეტის სხდომის

ოქმი №7

თბილისი

11 სექტემბერი 2015 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: პროფ. კახი ყურაშვილი, პროფ. ეკა ზარნაძე, პროფ. თამარ ჩიტოშვილი, პროფ. არჩილ ლორია, პროფ. ლელა ნადიბაძე, ასოც. პროფესორი დავით გეფერიძე, ასოც. პროფ. მანანა ხვედელიძე, უფრ. მასწ. ნინო ნიჟარაძე, უფრ. მასწ. მათა კოპალეიშვილი, უფრ. მასწ. შალვა ქურდაძე, უფრ. მასწ. ლ. ფაფიაშვილი, სტუდენტები: ელენე კვერნაძე, ანზორ კოპალეიშვილი და ალექსანდრე კუჭავა.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი: ეთერ ირემაძე

დღის წესრიგი:

1. თპუ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტთა წახალისების შესახებ. (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
 2. თპუ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტთა სტატუსის აღდგენის შესახებ. (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი);
1. მოისმინეს: თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ სტუდენტთა წახალისების მიზნით თპუ ადმინისტრაციას სურვილი აქვს გასცეს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო ყოველთვიური სტიპენდიები 45 ლარის ოდენობით 2015–2016 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის განმავლობაში. სამართლის ფაკულტეტზე მაღალი აკადემიური მოსწრება (ყველა საგანში მხოლოდ „ფრიადი“ შეფასება) ჰქონდა 2 სტუდენტს: ა) თეონა ჯანიბეგაშვილს და ბ) ანა ხვედელიძეს;
- მომხსენებელმა აუდიტორიას სთხოვა მხარდაჭერა, რომ წამახალისებელი სტიპენდია დაენიშნოს დასახელებულ სტუდენტებს.

აზრი გამოთქვა: უფ. მასწ. ნ. ნიჟარაძემ.

სამართლის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. მიეცეს საუნივერსიტეტო სტიპენდია სამართლის ფაკულტეტის შემდეგ წარჩინებულ სტუდენტებს სემესტრის მანძილზე ყოველთვიურად – 45 ლარი:
 - ა) ჯანიბეგაშვილ თეონას;
 - ბ) ანა ხვედელიძეს;
2. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თპუ ვებ-გვერდზე;
3. ეთხოვოს თპუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

2. მოისმინეს: თპუ სამართლის ფაკულტეტის დეკანის პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესების“ მე-4 მუხლის და პირადი განცხადების საფუძველზე 2015–2016 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრიდან

სტუდენტის სტატუსის აღდგენა სურთ შემდეგ სტუდენტებს: გივი ჯანიაშვილს, გიორგი ჩქარეულს, სერგო გაბრავას, თამარ ტრაპაიძეს, მარიამ მიქელაძეს, ზურაბ ჩოლოგაურს, გიორგი ბოლქვაძეს, გიორგი ხინკილაძეს

აზრი გამოთქვა (ეს): არავინ

ფაკულტეტის საბჭომ განიხილა ყველა განცხადება და ერთხმად გადაწყვიტა:

1. აღუდგეთ სტუდენტის სტატუსი 2015-2016 სასწალო წლის სამემოდგომო სემესტრიდან შემდეგ სტუდენტებს:
 - ა) გივი ჯანიაშვილს,
 - ბ) გიორგი ჩქარეულს,
 - გ) სერგო გაბრავას,
 - დ) თამარ ტრაპაიძეს,
 - ე) მარიამ მიქელაძეს,
 - ვ) ზურაბ ჩოლოგაურს,
 - ზ) გიორგი ბოლქვაძეს,
 - თ) გიორგი ხინკილაძეს ;
2. ეთხოვოს თქუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თქუ ვებ-გვერდზე;

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

სხდომის მდივანი:

ე. იხუაძე



კ. ყურაშვილი

ე. ირემაძე